

აკრძალული სუბსტანციების თერაპიული მიზნებით გამოყენების ნებართვა (სამახსოვრო)

ეროვნული ანტიდოპინგური სააგენტო უფლებამოსილია გააუქმოს აკრძალული ნივთიერებების თერაპიული მიზნებით გამოყენების ნებართვა იმ შემთხვევაში თუ:

სპორტსმენი არ აკმაყოფილებს ეროვნული ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ აკრძალული სუბსტანციების თერაპიული მიზნებით გამოყენების ნებართვის პირობებს;

კომისიის გადაწყვეტილება აკრძალული სუბსტანციების თერაპიული მიზნებით გამოყენების ნებართვაზე ადმინისტრაციული ხასიათისაა, რომელიც აკანონებს აკრძალული პრეპარატების ხმარებას და არ წარმოადგენს სამედიცინო დანიშნულებას ან აკრძალვას;

ნებისმიერი დამატებითი გამოკვლევა, რომელიც იქნა რეკომენდებული კომისიის მიერ აკრძალული სუბსტანციების თერაპიული მიზნებით გამოყენების ნებართვით, ხორციელდება სპორტსმენის ან მისი ფედერაციის (ასოციაციის, კავშირის, ლიგის) ხარჯზე;

სპორტსმენებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების შექმნისას დასჭირდათ გარკვეული მედიკამენტების მიღება, რომლებიც შეიცავენ აკრძალულ სიაში შეტანილ აქტიურ ნივთიერებებს.

რას შეიცავს აკრძალულ პრეპარატთა სია და რა უნდა იცოდნენ სპორტსმენებმა, ექიმებმა და პარამედიცინის პერსონალმა:

აკრძალული პრეპარატების სიაში შესულია ნივთიერებები და აკრძალული მეთოდები, რომლებსაც სპორტსმენები იყენებენ როგორც სატურნირო, ასევე არასატურნირო პერიოდებში. ეს სია ყოველწლიურად განიხილება მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს (WADA) მიერ.

სპორტსმენი პასუხისმგებელია, რომ მის ორგანიზმში არანაირი გზით არ მოხვდეს აკრძალული ნივთიერება. თუ კი მის ორგანიზმში გამოვლენილ იქნა რაიმე სახის აკრძალული სუბსტანცია ან მისი მეტაბოლიტი, მაშინ ის როგორც წესი დაისჯება დისკვალიფიკაციის სახით.

ექსტრემალურ სიტუაციებში (როდესაც საფრთხე ემუქრება სპორტსმენის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს) დასაშვებია ზოგიერთი აკრძალული პრეპარატის ან მეთოდის გამოყენება მას შემდეგ, რაც ეს შეთანხმებული იქნება მათი თერაპიული მიზნებით გამოყენების კომისიასთან.

იმ შემთხვევაში, როდესაც სპორტსმენს სამკურნალოდ ის პრეპარატები ესაჭიროება, რომლებიც აკრძალულ სიაშია შეტანილი, მკურნალი ექიმი ვალდებულია გახსნას პირადი საქმე და ამ პრეპარატების თერაპიული მიზნით გამოყენების თაობაზე განაცხადი შეიტანოს შესაბამის კომისიაში.

სპორტის სახეობის ეროვნული ფედერაციის ანტიდოპინგური კომისია გადასცემს სპორტსმენის პირად საქმეს აკრძალული პრეპარატების თერაპიული მიზნებით გამოყენების კომისიას, რათა გაფორმდეს შესაბამისი ნებართვა, რომელიც იქმნება ეროვნულ ანტიდოპინგურ სააგენტოსთან შეთანხმებით.

რას უნდა შეიცავდეს სპორტსმენის პირადი საქმე, რათა მიიღოს აკრძალული პრეპარატების თერაპიული მიზნით გამოყენების ნებართვა:

1. აკრძალული სუბსტანციის თერაპიული მიზნით გამოყენების ნებართვის გაფორმების განცხადება;
2. სპორტული მედიცინის ცენტრში (დისპანსერში) ჩატარებული უკანასკნელი სამედიცინო გამოკვლევის დასკვნა;
3. ადრე ჩატარებული სხვა გამოკვლევები და მკურნალობის შედეგები, (თუ არსებობს ამის საჭიროება);
4. შესაბამისი ექიმის, სპეციალისტის დამადასტურებელი განცხადება იმის თაობაზე, რომ სხვა სამკურნალო მეთოდის გამოყენება შეუძლებელია.

აკრძალული პრეპარატების (მეთოდების) თერაპიული მიზნებით გამოყენების ნებართვის გაცემის კრიტერიუმები:

1. სპორტსმენის ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდება თუ კი მის მკურნალობაში არ იქნა გამოყენებული აკრძალული პრეპარატი ან მეთოდი;
2. აკრძალული პრეპარატის ან აკრძალული მეთოდის გამოყენება, რომელზეც გაფორმებულია მისი თერაპიული მიზნებისათვის ხმარების ნებართვა, არ გამოიწვევს სპორტული შედეგის გაუმჯობესებას და უზრუნველყოფს სპორტსმენის სრულ გამოჯანმრთელებას;
3. აკრძალული პრეპარატის ან მეთოდის გამოყენების გარეშე თერაპიული ალტერნატივის არ არსებობა.

აკრძალული პრეპარატების თერაპიული მიზნებით გამოყენების ნებართვა არ გაიცემა:

1. აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის გამოსაყენებლად სპორტული შედეგიანობის გაზრდის მიზნით;

2. აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის გამოსაყენებლად ერთი ან რამოდენიმე ჰორმონის ნორმალური ენდოგენური დონის აწევის მიზნით;

3. ანდროგენული ანაბოლიკური სტეროიდების ენდოგენური დონის გაზრდის მიზნით;

4. იმ შემთხვევაში, თუ სპორტსმენის შარდის სინჯში დიურეტიკის კრიტიკული დონე აღინიშნება, რომელიც აკრძალულ პრეპარატთან ასოცირდება.

ბუკლეტის უკანა მხარე:

- აკრძალული სუბსტანციის თერაპიული მიზნით გამოყენების ნებართვას ექიმი ითხოვს ეროვნული ანტიდოპინგური სააგენტოსგან.
- სპორტსმენი და ექიმი ერთად ავსებენ აკრძალული სუბსტანციის თერაპიული მიზნით გამოყენების ნებართვის ბლანკს.
- სპორტის ეროვნული ფედერაციის სამედიცინო კომისია ამოწმებს ბლანკს და აგზავნის მას ეროვნული ანტიდოპინგური სააგენტოს აკრძალული პრეპარატების თერაპიული მიზნებით გამოყენების კომისიაში.
- აკრძალული პრეპარატების და მეთოდების თერაპიული მიზნებით გამოყენების კომისია სპორტსმენის პირად საქმეს ეროვნულ დონეზე განიხილავს.
- აკრძალული სუბსტანციების თერაპიული მიზნებით გამოყენების კომისია აფორმებს, ხოლო ეროვნული ანტიდოპინგური სააგენტოს დირექტორი ამტკიცებს აკრძალული სუბსტანციების თერაპიული მიზნებით გამოყენების ნებართვის ფორმას.